შეტყობინება მეშვიდე

ვიცოდეთ ამაღლება

ადგილები წერილიდან: საქმე. 2:36; ებრ. 2:9; 4:14-15; 7:26; 12:2; ეფეს. 1:19-23; 2:6

I. ადამიანი-მხსნელის ამაღლება არის მისი შესვლა მის ზეციურ თანამდებობაზე ქმნილების, განკაცების, ადამიანური ცხოვრების, ჯვარცმისა და აღდგომის პროცესს მეშვეობით როგორც ღმერთისა და ადამიანისა, როგორც შემოქმედისა და ქმნილებისა და როგორც გამომსყიდველისა, მხსნელისა და მაცოცხლებელი სულის ღმერთის მმართველობის განსახორციელებლად და ღმერთის ახალი აღთქმისეული სახლმშენბელობის განსახორციელებლად.

II. ჩვენ უნდა დავინახოთ უფლის ამაღლების ობიექტური ასპექტი:

ა. უფლის ამაღლების შედეგად უფალი დაგვირგვინებული იყო დიდებითა და პატივით – ებრ. 2:9:

1. დიდება არის ბრწყინვალება, დაკავშირებული იესოს პიროვნებასთან; პატივი – არის უმაღლესი ფასეულობა, დაკავშირებული იესოს მნიშვნელოვნობასთან – 1 პეტ. 2:7.
2. ქრისტე დაჯილდოებულია დიდებით მისი მდგომარეობის თვალსაზრისით და პატივით მისი ადგილის თვალსაზრისით; ის არის ყველა მეფეზე და მმართველზე მაღლა; ეს არის მისი პატივი.

ბ. უფლის ამაღლების შედეგი იყო ის, რომ უფალი იყო აყვანილი ტახტზე ღმერთის მმართველობისათვის; ებრ. 12:2-ში ნათქვამია, რომ ქრისტე ახლა დასმულია ღმერთის ტახტის მარჯვნივ:

1. ის, რომ ღმერთი ქრისტეში ზის ტახტზე, ნიშნავს, რომ ღმერთი მართავს მთელ სამყაროს ქრისტედან და ქრისტეს მეშვეობით, ისევე როგორც სინათლე ანათებს ლამპარიდან და ლამპრის მეშვეობით – გამოცხ. 22:1, 3; შდრ. 21:23.
2. ქრისტე იმყოფება ახლა ტახტზე, მართავს მთელ სამყაროს; ის არის უნიკალური მმართველი, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი; ის არის მმართველი მიწიერ მეფეთა – 1:5; 17:14; 19;16.
3. მისი მმართველობა დაკავშირებულია სამყაროსთან, ხოლო მის მიერ ღმერთის ახალი აღთქმისეული სახლმშენებლობის განხორციელება მიმართულია იმისკენ, რომ გაავრცელოს თავისი თავი თავისი კვლავწარმოქნისათვის იმ მიზნით, რომ ააშენოს ეკლესია, თავისი სხეული, რისი შედეგიც იქნება ახალი იერუსალიმი – შდრ. საქმე. 5:31.

გ. „დაე მტკიცედ იცოდეს ისრაელის მთელმა სახლმა, რომ ღმერთმა გახადა ის უფლად და ქრისტედ, – ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით“ (2:36); ამ მუხლში სიტყვა „*გახადა*“ შეიძლება გავიგოთ იმ აზრით, რომ „ოფიციალურად შეიყვანა ის თანამდებობაზე; თავის ამაღლებაში ღმერთმა „თანამდეობაზე დანიშნა“ ქრისტე მის ზეციურ მსახურებაში:

1. ადამიანი-მხსნელი, თავის აღდგომაში, გახადეს უფალი, რათა ფლობდეს ყველაფერს; ახლა ის არის უფალი, რომელიც ფლობს მთელ სამყაროს, ღმერთის ამორჩეულ ხალხს, და ასევე ყოველივე დადებითს, საქმეებსა და ადამიანებს.
2. მხსნელი–ადამიანი თავის აღდგომაში გახდა ქრისტე როგორც ღმერთის ცხებული (ებრ. 1:9), რათა შეესრულებინა ღმერთის დავალება.

დ. ახლა ჩვენ ვართ ერთი ქრისტესთან მის აღდგომასა და ამაღლებაში (ეფეს. 2:6; ამის შედეგად ჩვენ გვაქვს აღდგომის სიცოცხლე და ძალა, და ასევე ძალაუფლება აღდგომაში; როდესაც ჩვენ ვეხებით ჩვენს უფალს, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, თუ რას წარმოადგენს ის, ანუ გავაცნობიეროთ მისი სტატუსი, მდგომარეობა და თანამდებობა.

III. ჩვენ უნდა დავინახოთ უფლის ამაღლების სუბიექტური ასპექტი – შდრ. ფსალ. 91:1; ქებ. ქ. 4:7-8, 6:10:

ა. ქრისტე თავის ყველაფერზე აღმატებულ ამაღლებაში იყო ამაღლებული ჯოჯოხეთზე (სადაც არიან მკვდრები), დედამიწაზე (სადაც დაცემული ადამიანები მოძრაობენ ღმერთის წინააღმდეგ), ჰაერზე (სადაც სატანა და მისი ძალაუფლება სიბნელის მოქმედებს ღმერთის წინააღმდეგ) და ყველა ზეცაზე (სადაც მისადგომი აქვს სატანას – ეფეს. 1:20-21; 4:8-10; ებრ. 7:26; იობი 1:6-12ა; 2:1-6).

ბ. თავის ამაღლებაში ქრისტემ გაირა ზეცანი (ებრ. 4:14), ისე რომ ახლა ის არის არა მარტო ზეცაში (9:24), ის ასევე არის ზეცაზე მაღლა (7:26), გაცილებით მაღლა ყველა ზეცაზე (4:10).

გ. ეფეს. 1:19-23-ში ნაჩვენებია, რომ ამაღლებული ქრისტესგან ჩვენთან ხდებოდა გარკვეული გადმოცემა; 22-ე მუხლში საუბარია, რომ ღმერთმა მისცა ქრისტეს „ყოფილიყო თავი ყოველივეზე ეკლესიისათვის“; სიტყვა „*ეკლესიისათვის*“ მიუთითებს გარკვეულ გადაცემაზე ამაღლებული ქრისტესგან ეკლესიისათვის, მისი სხეულისათვის:

1. ღმერთმა ამაღლებულ ქრისტეს მისცა დიდი ნიჭი – თავობა ყოველივეზე; ის, ვინც გახადა ღმერთმა ქრისტე, განკუთვნილია ეკლესიისათვის; ეს გადმოცემა ეკლესიას, და ეკლესია ინაწილებს ამას.
2. 20-22 მუხლებში ნაჩვენებია, რომ ღმერთმა მოიყვანა თავისი ძალა მოქმედებაში ქრისტეში ოთხი ნაბიჯის მეშვეობით: პირველ რიგში, აღადგინა ქრისტე მკვდრეთით; მეორე, დასვა ის თავის მარჯვნივ ზეციურ საზღვრებში; მესამე, დაუმორჩილა ყოველივე მას ფერხთა ქვეშ; და მეოთხე, მისცა მას, რომ ყოფილიყო თავი ყოველივეზე ეკლესიისათვის.

დ. თავის ამაღლებაში ქრისტე გახადეს თავი ეკლესიისა, თავისი სხეულის, რათა გამოეხატა ღმერთი მის სისავსეში – კოლ. 1:18; ეფეს. 1:23; 3:19:

1. თავი და სხეული არის ერთი და წარმოქმნის სამყაროსეულ ადამიანს; ამ ღვთაებრივ გაგებასთან დაკავშირებით არ არსებობს არც სივრცის ელემენტი, არც დროის ელემენტი; სხეული არის ერთი თავთან ღვთაებრივ სიცოცხლესა დაღვთაებრივ სულში.
2. ღვთაებრივი შეხედულების თანახმად, ჩვენ ვართ ერთი ამაღლებულ ქრისტესთან და მისი ამაღლება არის ასევე ჩვენი (2:6); აქ, ამ ამაღლებაში, ჩვენ გამოვხატავთ მას მის სისავსეში; ვინაიდან ამაღლებული ქრისტე არის განსხეულება სამერთიანი ღმერთისა (კორ. 2:9), მისი ამაღლებული გადმოცემა მოიცავს თავის თავში მთელ მდიდრულ დარიგებას სამერთიანი ღმერთისა, რომელიც გვხდის ჩვენ ქრისტეს სისავსედ მისი გამოხატულებისათვის (ეფეს. 1:22-23; 3:19, 8).

ე. თავის ამაღლებაში ქრისტე ასევე გახდა მღვდელმთავარი ზეცაში, რათა მიგვიყვანოს ჩვენ ღმერთის თანდასწრებაში და ვიზრუნოთ ჩვენს ყველა საჭიროებაზე; თავის ამაღლებაში ის იყო დაყენებული თავის სამღვდელო თანამდებობაზე – ებრ. 2:17-18; 4:14-15; ფსალ. 110:1-4; ებრ. 5:6; 7:26:

1. ერთი მხრივ, ქრისტე – არის მღვდელმთავარი, რომელიც შუამდგომლობს ზეცაში ეკლესიისათვის (მუხ. 25-26; რომ. 8:34); მეორე მხრივ, ის არის მღვდელმთავარი, რომელიც მოძრაობს ეკლესიებში, ზრუნავს მათზე; გამოცხ. 1:13-ში ქრისტე გამოხატულია როგორც მღვდელმთავარი, რაზეც მიუთითებს მისი სამოსელი – სამოსელი ფეხებამდე, რომელიც არის სამღვდელო სამოსელი (გამ. 28:33-35).
2. გამოცხადების მე-8 თავში ქრისტე ნაჩვენებია როგორც მღვდელი, რომელსაც მოაქვს საკმეველი ოქროს სამსხვერპლოზე; „სხვა ანგელოზი მოვიდა და დადგა სამსხვერპლოსთან, მას ჰქონდა ოქროს საკმეველი; და მიცემული ჰქონდა ბევრი საკმეველი, რათა მას მოეტანა ის ლოცვებით ყველა წმიდანისა ოქროს სამსხვერპლოზე, რომელიც არის ტახტის წინ“ (მუხ. 3).

IV. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ჩვენ ვიმყოფებით უფლის ამაღლებაში – ეფეს. 2:6:

ა. მადლის მთელი საუკუნე არის უფლის ამაღლების დრო – 1:20.

ბ. ქრისტე არის არა მარტო ამაღლებაში, არამედ ჩვენშიც – კოლ. 1:27.

გ. ქრისტე ჯერ კიდევ მოძრაობს თავის ამაღლებაში; ის ცხოვრობს, მკვიდრობს, იმყოფება, მსახურობს და შრომობს, მუშაობს და მოქმედებს თავის ამაღლებაში:

1. ის იმყოფება თავის ამაღლებაში ჩვენ შიგნით; აი რატომ გვეუბნება პავლე ჩვენ, რომ ჩვენ ვართ დასხმულნი ქრისტესთან ერთად მის ამაღლებაში – ეფეს. 2:6
2. ჩვენს არსებაში არის არაჩვეულებრივი პიროვნება – ამაღლებული ქრისტე – კოლ. 1:27; ეფეს. 2:6.
3. უფალი დღეს არის ჩვენს სულში თავის ამაღლებაში – 2 ტიმ. 4:22ა.
4. ამ ამაღლებაში სამერთიანი ღმერთი მოძრაობს ჩვენში, და ეს მოძრაობა ხდება ჩვენი ისტორია.
5. ქრისტე არის განსხეულება სამერთიანი ღმერთისა, ხოლო ჩვენ ნაწილები ამ განსხეულებისა მის ამაღლებაში – რომ. 8:10; 2 კორ. 13:5; გალ. 2:20; 4:19; კოლ. 2:9.
6. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვიკრიბებით მის სახელში, იქვე იმყოფება ქრისტე თავის ყველა ასოსთან ერთად ამაღლებაში, და ეს არის ღმერთის მოძრაობა ადამიანში – მათე 18:20; კოლ. 3:1, 3-4; ეფეს. 1:20; 2:6.